



N 21/2102
27/03/2023

2102-21-2-202303271728



შპს „აკვაპონტს“

მის: თბილისი, ვაკის რ-ნი, შალვა ნუცუბიძის ფერდობი II მ/რ, II კვ, № 2ა, ბ.4

ელ. ფოსტა: chkhikvadze@dmn.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენ მიერ 2023 წლის პირველ მარტს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი N1685 განცხადება, რომელიც ეხება ლენტეხის მუნიციპალიტეტში, მდ. ხოფურზე 5.22 მგვტ. სიმძლავრის „ხოფური 1 ჰესის“ მშენებლობა-ექსპლუატაციისა და 35 კვ ეგხ-ის გაყვანას. გაცნობებთ, რომ გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებას და კორექტირებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- გზშ-ის ანგარიშში მოცემული ინფორმაციის თანახმად, ძირითადი სათავე ნაგებობისთვის ეკოლოგიური ხარჯი განისაზღვრა 0.15 მ³/წმ-ის ოდენობით, ხოლო მისი მარჯვენა შენაკადისთვის 0.028 მ³/წმ-ის ოდენობით. აღნიშნული მაჩვენებლები განსხვავდება სკოპინგის ეტაპზე წარმოდგენილი მონაცემებისგან, რომლის მიხედვითაც სათავე ნაგებობისთვის ეკოლოგიური ხარჯი შეადგენდა 0.248 მ³/წმ-ს, ხოლო მარჯვენა შენაკადისთვის 0.04მ³/წმ-ს. ასევე განსხვავებულია მდ. ხოფურისა და მისი მარჯვენა შენაკადის 10%, 50%, 75% და 90%-იანი უზრუნველყოფის ხარჯების შიდაწლიური განაწილების მაჩვენებლები, კერძოდ გზშ-ის ანგარიშში აღნიშნული მაჩვენებლები მკვეთრად ნაკლებია. ასევე, გზშ-ის ანგარიშის სხვადასხვა თავში აღნიშნულია რომ მდ. ხოფური ჰიდროლოგიური თვალსაზრისით შეუსწავლელია, ხოლო მდ. ხოფურის მარჯვენა შენაკადიდან წყალაღება დიდ ზეგავლენას მოახდენს კალმახის პოპულაციაზე, კერძოდ იქთიოფაუნის კვლევის შედეგების თანახმად, სათავე ნაგებობის ქვედა დინებაში მუდმივად უნდა იქნეს გაშვებული მდინარის ბუნებრივ ხარჯთან მიახლოებული რაოდენობის წყალი. ხოლო მდ. ხოფურის მარჯვენა შენაკადიდან წყლის აღებასთან დაკავშირებით კვლევის შედეგებში გაკეთებულია დასკვნა, რომ მდ. ხოფურის მარჯვენა შენაკადიდან წყლის აღების შემთხვევაში, ფაქტობრივად აღარ დარჩება იმ რაოდენობის წყალი, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თევზების არსებობისთვის და შესაბამისად პროექტის არეალში, კალმახის პოპულაცია დაკარგავს მნიშვნელოვან საქვირითე ჰაბიტატს, ასევე მდ. ხოფურის მარჯვენა შენაკადი უნდა დარჩეს ხელუხლებელი, რადგან მისი დეგრადაცია პირდაპირ ზეგავლენას მოახდენს კალმახის პოპულაციაზე. აღნიშნულიდან

გამომდინარე, წყალზე დამოკიდებულ ბიომრავალფეროვნების კომპონენტების შენარჩუნების მიზნით, გზშ-ის ანგარიშში უნდა დაზუსტდეს/დაკორექტირდეს ეკოლოგიური ხარჯის გაზრდის შესახებ ინფორმაცია, მათ შორის ინფორმაცია მდ. ხოფურის მარჯვენა შენაკადიდან წყალალევაზე უარის თქმის შესახებ;

- გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე წყლით სარგებლობასთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ - აგრეგატების გაციებისთვის, ასევე ბეტონის კვანძის ოპერირებისას ტექნიკური წყლის წყალალევისა და წყალჩაშვების GPS კოორდინატებისა და აღებული წყლის რაოდენობის შესახებ ინფორმაცია;
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად „ბეტონის კვანძში გამოყენებული ჩამდინარე წყალი გაივლის სალექარს სადაც გაიწმინდება მექანიკურად და ღია გრუნტის სანიაღვრე არხით ჩაედინება მდინარე ხოფურში“. ასევე, „საწვავ-საპოხი მასალებით დაბინძურებული წყლები გროვდება სპეციალურ სალექარში, სადაც მოხდება საწვავ-საპოხი მასალების დალექვა შემდგომი გატანით“. გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული სალექარ(ებ)ისა და მათი პარამეტრებისა და ეფექტურობის შესახებ ინფორმაცია;
- გზშ-ის ანგარიშის თანდართული Shp ფაილები მოიცავს დამატებით ფაილებს რომელიც არ არის დაკავშირებული გზშ-ის ანგარიშით გათვალისწინებულ საქმიანობასთან, რაც საჭიროებს კორექტირებას. ამასთან, წარმოდგენილი shp ფაილები მოიცავს ჰიდროელექტროსადგურის ერთობლივ ფენას და ეგხ-ის ფენას. წარმოდგენილი უნდა იყოს ერთმანეთისგან გამოყოფილი ჰესის ინფრასტრუქტურული ერთეულების shp ფაილები შესაბამისი მითითებით, მათ შორის: საპროექტო გზა, ქვესადგური, სადაწნეო მილსადენი, სადაწნეო მილსადენის ბუფერი, ეგხ, ეგხ-ის ბუფერი, საპროექტო ანძების განთავსების ტერიტორიები, მაქსიმალური და კატასტროფული შეტბორვის კონტურები, სათავე კვანძი, ჰესის შენობა, ქვესადგური, და ა.შ.. Shp ფაილებში ასახული ინფორმაცია შესრულებული უნდა იყოს WGS 1984 UTM Zone 37/38N პროექციაში;
- გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი სკოპინგის დასკვნით მოთხოვნილი საპროექტო ობიექტის ერთიანი გენერალური გეგმა, მაღალი გარჩევადობით და შესაბამისი ექსპლიკაციით, სადაც დატანილი იქნება ჰიდროელექტროსადგურის შემადგენელი ყველა საპროექტო ინფრასტრუქტურული ობიექტი;
- გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი სკოპინგის დასკვნით მოთხოვნილი ინფორმაცია სათავე კვანძის საანგარიშო დატვირთვის, მათ შორის სეისმური და ჰიდრავლიკური დატვირთვის პარამეტრების შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი სკოპინგის დასკვნით მოთხოვნილი საკითხი სათავე კვანძზე შეკავებული წყლის მოცულობის და შეტბორილი ადგილების ფართობის შესახებ (შეტბორვის უბნის კონტურების მითითებით). ამასთან ინფორმაცია, ნორმალური/საექსპლუატაციო და მაქსიმალური შეტბორვის ნიშნულების შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი სკოპინგის დასკვნით მოთხოვნილი საკითხი - სათავე ნაგებობიდან ეკოლოგიური ხარჯის საგანგებო მოწყობილობით გატარების უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშის 5.8.4.1 ქვეთავის თანახმად „პროექტის ფარგლებში, ორივე სათავე ნაგებობაზე დაგეგმილია თევზსავალების და თევზამრიდების მოწყობა რომელთა პარამეტრები შეირჩევა ეფექტურობის მიხედვით, რათა მაქსიმალურად დაცული იყოს იქთიოფაუნა დაზიანებისგან“. 5.8.4.2 ქვეთავის თანახმად, გათვალისწინებულია საფეხურებიანი თევზსავალის მოწყობა, ხოლო ქვეთავი 2.1.1.1 თანახმად, შერჩეული იქნა ე.წ. ღრიჩოებიანი (Slot pass) საინჟინრო

ტიპის თევზსავალი. 2.1.1.1 ქვეთავის მიხედვით მეორე სათავე ნაგებობაზე მოწყობა ბუნებრივთან მიახლოებული ტიპის თევზსავალი ღარი (0.3 მ. მეტრი ზომის ლოდებით). შესაბამისად, კორექტირებას/დაზუსტებას საჭიროებს შერჩეული თევზსავალების ტიპის შესახებ ინფორმაცია;

- გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი სკოპინგის დასკვნით მოთხოვნილი ინფორმაცია საპროექტო ბუფერის (სქემატურ რუკაზე დატანიტ), მისი ფართობისა და ბუფერში მოქმედი შეზღუდვების შესახებ;
- ვინაიდან საქმიანობა ითვალისწინებს ზედაპირული წყლის ობიექტში წყალჩაშვებას და გაფრქვევის სტაციონარული (ბეტონის კვანძი) წყაროების არსებობას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პროცესში გზშ - ის ანგარიშს თან უნდა დაერთოს კანონმდებლობით გათვალისწინებული - ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვებისა (ზ.დ.ჩ) და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების (ზ.დ.გ.) პროექტი;
- ანგარიშში არ არის მოცემული ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ობიექტის მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე, მათ შორის ემისიები სამშენებლო ტექნიკისა მუშაობისას და სამშენებლო მასალების მომარაგებისას. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი/პრევენციული ღონისძიებები და მონიტორინგის საკითხები;
- გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი სკოპინგის დასკვნით მოთხოვნილი ინფორმაცია სათავე კვანძის განთავსების ადგილას მდებარე საფეხმავლო ხიდის შესახებ. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ხიდის გაუქმების ან/და შენარჩუნების შესახებ ინფორმაცია, ასევე მოცემული უნდა იყოს ხიდზე წვდომის შეზღუდვის შესახებ მუნიციპალიტეტის მერიისა და სოფლის მოსახლეობის ინფორმირების და მათი პოზიციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ამსახველი ინფორმაცია;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად საპროექტო ნაგებობების მოწყობის პროცესში წარმოქმნილი ფუჭი ქანები გამოყენებული იქნება საპროექტო გზის ვაკისების მოსაწყობად და უკუყრილის სამუშაოებისთვის და არ საჭიროებს სანაყაროს მოწყობას, თუმცა ანგარიშის 5.3.3 და 6.3.1 ქვეთავებში მოცემული ინფორმაციის თანახმად, სამშენებლო სამუშაოების დამთავრების შემდეგ ჩატარდება სანაყაროების და დაზიანებული უბნების რეკულტივაციის და გამწვანების სამუშაოები. შესაბამისად, აღნიშნული საჭიროებს დაზუსტებას/კორექტირებას;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად „სააგრეგატო შენობაში გამომუშავებული დენის გატანა განხორციელდება 35 კილოვოლტი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მეშვეობით, რომელიც 2 კმ-ში დაუკავშირდება ლენტეხი-ცაგერის გადამცემი ხაზის სატრანსფორმატორო ქვესადგურს“, ასევე ანგარიშის სხვადასხვა გვერდზე მოცემული ინფორმაციის მიხედვით ელექტროგადამცემი ხაზის სიგრძე იქნება 1825 მეტრი. აღნიშნული საჭიროებს დაზუსტებას;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაცია, კერძოდ ანგარიშის ქვეთავ 2.9 თანახმად „ვინაიდან, ხოფური 1 ჰესის შენობა-ნაგებობების მშენებლობა იწარმოებს სოფლებთან სიახლოვეს, მუშა მოსამსახურეთათვის დროებითი საცხოვრებელი ბანაკის მოწყობა არ იქნება საჭირო“, ხოლო 2.3 ქვეთავის თანახმად „ხოფური ჰესი“-ს მშენებლობისათვის საჭირო სამშენებლო ბანაკის განთავსდება საცხოვრებელი კონტეინერები. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;

- გზშ-ის ანგარიშის 1.1 ქვეთავის თანახმად პირველი (ძირითადი) სათავე ნაგებობა მოწყობა ზღვის დონიდან 960 მეტრ სიმაღლეზე, ხოლო მეორე სათავე ნაგებობა 950 მეტრს სიმაღლეზე, ხოლო 2.1.1 ქვეთავის თანახმად, მეორე (დამატებითი) სათავე ნაგებობა განთავსდება 976მ. ნიშნულზე. ასევე, 1.1 თავში შემავალი ტოპო რუკისა და სიტუაციური სქემის მიხედვით პირველი სათავე ნაგებობის ნიშნულია 944 მეტრი ხოლო მეორე ნაგებობის 950 შესაბამისად, გზშ-ანგარიშში დაზუსტებას/კორექტირებას საჭიროებს სათავე ნაგებობების განთავსების ნიშნულების (ზღვის დონიდან) შესახებ ინფორმაცია;
- გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს სადაწნეო მილსადენის სიგრძის შესახებ ინფორმაცია. კერძოდ, ანგარიშის 11 თავის და 1,1, 3,2 და 5.14 ქვეთავების თანახმად სადაწნეო მილსადენის სიგრძე იქნება 3085 მეტრი, ხოლო 2.1.2, 4.3.1 და 5.5.2.1 ქვეთავების თანახმად, სადაწნეო მილსადენის სიგრძე შეადგენს 3154 მეტრს. გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს ასევე მილსადენის ტიპისა და პარამეტრების შესახებ ინფორმაცია;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს დაზუსტებული ინფორმაცია ტურბინების რაოდენობისა და სიმძლავრის შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი სკოპინგის დასკვნით მოთხოვნილი საკითხი, ჰესის შენობიდან გამონამუშევარი წყლის მდინარეში გაყვანის შესახებ, გამყვანი არხების პარამეტრების მითითებით;
- გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი სკოპინგის დასკვნით მოთხოვნილი ინფორმაცია სამშენებლო ბანაკის ელექტროენერგიით მომარაგების შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო ანძების განთავსების წერტილების GPS კოორდინატები;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ქვესადგურის ძალოვანი ტრანსფორმატორები აღჭურვილი იქნება დაღვრის შემაკავებელი რეზერვუარებით, რომლებიც მილსადენებით დაკავშირებული იქნება მიწისქვეშა შემკრებ რეზერვუართან. ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული რეზერვუარების პარამეტრების შესახებ ინფორმაცია;
- გზშ-ის ანგარიშის 2.1.1.1 ქვეთავში ჩანაწერი „პროექტით წარმოდგენილი თევზსავალი მისაღებია მდინარე წაჩხურზე გავრცელებული თევზების გადაადგილებისათვის” საჭიროებს კორექტირებას;
- გზშ-ის ანგარიშის 1.1 ქვეთავში ჩანაწერი „წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს - სკოპინგის ანგარიშს“, ასევე მე-3 თავში, ჩანაწერი „სკოპინგის ანგარიშში განხილული უნდა იყოს პროექტის სხვადასხვა ალტერნატიული ვარიანტები“, საჭიროებს კორექტირებას;
- ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ერთიანი ცხრილის სახით, სადაც მითითებული იქნება კონკრეტული ინფორმაცია, ასევე გზშ-ის ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის უშუალო ქვეთავ(ებ)ი;

სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ განსაზღვრული სრულყოფილი დოკუმენტაციის სააგენტოში წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

